საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 04-15/1553
12/02/2024

1553-04-15-2-202402121534

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი კობახიძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებისთვის სოციალური პაკეტისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

პრობლემის აღწერა:

მოგეხსენებათ, ,,ომისა და თავდაცვის ძალების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა შემდეგი კატეგორიები: *ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) თავდაცვის ძალების ვეტერანები.*

აღნიშნული პირების სოციალური დაცვის მიზნებისთვის საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით ,,სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ'' განისაზღვრა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა. კერძოდ, ამავე დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, *საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ქვემოთ მოყვანილ კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს შემდეგი ოდენობით:*

- *ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს – ყოველთვიურად 100 ლარი;*

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

- *დ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს – ყოველთვიურად 100 ლარი;*
- *ე) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს – ყოველთვიურად 100 ლარი;*
- *ზ) საქართველოს თავდაცვის ძალების ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას – ყოველთვიურად 100 ლარი.*

ამასთან, ,,სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ.ვ'' და ,,ი'' ქვეპუნქტების თანახმად, სოციალური პაკეტი ენიშნებათ:

- *ზ.ვ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს – 100 ლარის ოდენობით;*
- *ზ.თ) თავდაცვის ძალების ვეტერანებს საპენსიო ასაკის მიღწევისას – 100 ლარის ოდენობით;*
- *ი) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს – ყოველთვიურად 100 ლარი.*

აღნიშნული სამართლებრივი აქტის მე-6 მუხლი ადგენს შეზღუდვებს სოციალური პაკეტის მიღებაზე. კერძოდ, ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტების მიხედვით, *დაუშვებელია:*

- *ბ) სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის (საპენსიო პაკეტი) ან სახელმწიფო კომპენსაციის მიღება;*
- *გ) სოციალურ პაკეტთან ერთად „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღება.*

ამავე აქტის, მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, 2012 წლის 1 სექტემბრიდან საყოფაცხოვრებო სუბსიდია დაენიშნებათ ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ იმ პირებს, რომლებიც საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვის მომენტისათვის კომპეტენტურ ორგანოში აღრიცხულნი იქნებიან სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირებად.

მოცემული სამართლებრივი რეგულაციიდან გამომდინარე, ,,ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ'' საქართველოს მე-6 მუხლით განსაზღვრული პირებს საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლება წარმოეშობათ მხოლოდ საპენსიო ასაკის

მიღწევის შემდეგ, რაც ასევე დასტურდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით.[1] ამავე უწყების განმარტებით,[2] 2023 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით საყოფაცხოვრებო სუბსიდია გაიცემა 3596 ვეტერანზე. ხოლო სოციალური პაკეტი გაიცემა 23 585 ვეტერანზე. ამასთან, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს ეკრძალებათ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სოციალურ პაკეტთან ერთად სახელმწიფო პენსიის და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ერთდროულად მიღება.

სამართლებრივი დასაბუთება:

,,ომისა და თავდაცვის ძალების შესახებ'' საქართველოს კანონის პრეამბულაში აღნიშნულია რომ *ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქე ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს მათი კეთილდღეობისა და აქტიური საქმიანობის პირობების შესაქმნელად.* ფასდაუდებელია ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების როლი ჩვენი სახელმწიფოს არსებული სახით დღემდე მოტანის საქმეში. სახელმწიფოს მიერ ვეტერანებისთვის შექმნილი სოციალური გარანტიები არის ეროვნული სოლიდარობის და აგრეთვე, იმ მსხვერპლის აღიარების ინდიკატორი რაც ვეტერანების მხრიდან სახელმწიფოს კეთილდღეობის მიზნებისთვის საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენებაში გამოიხატა. სწორედ აღნიშნული გარემოების გამო სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მოაქციოს, ხელი უნდა შეუწყოს და წაახალისოს ვეტერანების მიერ სოციალური და ეკონომიკური უფლებებით ეფექტური სარგებლობა. ასევე, იზრუნოს იმ სოციალურ კატეგორიაზე, რომელიც დღევანდელ პირობებში მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური დაუცველობის წინაშე დგას. ამ მიზნით, სახელმწიფო ვალდებულია განავითაროს საკუთარი კანონმდებლობა, დებულებები და პოლიტიკა ეკონომიკური, სოციალური და ადამიანის სხვა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროებში და უზრუნველყოს მათი დანერგვა, როგორც გარანტია ვეტერანების მიერ ამ უფლებებით მაქსიმალური სარგებლობისთვის.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ნიშანდობლივია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა ვეტერანების საკითხთან დაკავშირებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში[3], რომლის თანახმადაც, ,,*ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს. სხვანაირად, აზრი ეკარგება*

[1] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2023 წლის 25 იანვრის №SSA12400083533 წერილი.
[2] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2023 წლის 1 დეკემბრის №SSA92301287382 წერილი.
[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე N1/1/126,129,158)

სახელმწიფოთა საერთაშორისო - სამართლებრივ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მოქმედებანი ამ მიმართულებით სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს.''

მოგეხსენებათ, არსებული ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, ვეტერანებისთვის დაწესებული შეზღუდვა სოციალური პაკეტითა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიით ერთდროულად სარგებლობის აკრძალვასთან დაკავშირებით, ასევე საპენსიო პაკეტთან ერთად სოციალური პაკეტით სარგებლობის შეუძლებლობასთან დაკავშირებით, ვერ ჩაითვლება სახელმწიფოს მხრიდან მათი ღვაწლის სათანადოდ დაფასებად და მათი კეთილდღეობისა და აქტიური საქმიანობისთვის რეალური პირობების შექმნად. როგორც ცნობილია, სახელმწიფო პენსიის დანიშვნის საფუძველს, წარმოადგენს შესაბამისი ასაკი - ქალებისთვის 60, ხოლო, მამაკაცებისთვის 65 წელი. შესაბამისად, საპენსიო პაკეტის მიმღებად ქვეყანაში ითვლება ნებისმიერი პირი, რომელმაც მიაღწია საპენსიო ასაკს, მიუხედავად იმისა განეკუთვნება თუ არა იგივე პირი ,,ომისა და თავდაცვის ძალების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა კატეგორიას. ხოლო, ,,სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით ვეტერანებისთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტი უნდა განიმარტოს, როგორც – პირის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრულ ვეტერანთა კატეგორიას მიკუთვნებასთან და აღნიშნულის გამო სახელმწიფოს მიერ გამოხატულ განსაკუთრებულ დამოკიდებულებასთან ამავე სახელმწიფოს კეთილდღეობაში შეტანილი წვლილისთვის. ამდენად, არსებული რეგულაცია, რაც გულისხმობს საპენსიო პაკეტთან ერთად სოციალური პაკეტის მიღების აკრძალვას ვეტერანთა კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, აყენებს არჩევანის წინაშე: ან აირჩიოს ასაკობრივი პენსია, რაც არ იძლევა მისი ღვაწლიდან გამომდინარე დამატებითი სოციალური პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობას, ან ისარგებლოს მხოლოდ სოციალური პაკეტით, რომელიც დაენიშნა ვეტერანობის გამო, მაგრამ ასაკობრივ პენსიაზე გაცილებით ნაკლებია. შესაბამისად, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ ვეტერანებისთვის აზრი ეკარგება ,,სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით მათთვის განსაზღვრული სოციალური პაკეტის/ფულადი უზრუნველყოფის არსებობას.

გარდა ამისა, პრობლემურია ვეტერანებისთვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაცემის საპენსიო ასაკთან დაკავშირება, რაც შეუსაბამოა აღნიშნული დახმარების დაწესების მიზანთან, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ვეტერანების მიმართ გარკვეული მზრუნველობის გამოხატულებას წარმოადგენს. კერძოდ, ,,სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების მე-2 საყოფაცხოვრებო სუბსიდია განმარტებულია, როგორც ყოველთვიური ფულადი სახის გასაცემელი, რომელიც განკუთვნილია კანონით განსაზღვრული სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ხოლო ,,სახელმწიფო

პენსიის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ი'' ქვეპუნქტის თანახმად, *პენსია წარმოადგენს პირისთვის ამ კანონის შესაბამისად დანიშნულ ყოველთვიურ სარგებელს,* რომელიც დაენიშნება ნებისმიერ პირს, რომელმაც კანონით დადგენილ საპენსიო ასაკს მიაღწია. შესაბამისად, არსებული შეზღუდვა ვეტერანებისთვის თითქოს გამორიცხავს საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების არსებობას საპენსიო ასაკის მიღწევამდე, რაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ვინაიდან, საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებები ვეტერანებს გააჩნიათ საპენსიო ასაკის მიღწევამდეც და მას შემდეგაც.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემულ საკითზე მსჯელობისას საქმე გვაქვს ისეთ სოციალურ კატეგორიასთან, რომლის რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება და აღნიშნული გასაცემლების ერთობლივი გაცემის შესაძლებლობის შემოღება სახელმწიფოს არ დააწვება მნიშვნელოვან ტვირთად. კერძოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[4] 2023 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით საყოფაცხოვრებო სუბსიდიით სარგებლობს:

- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი - 178 პირი;
- სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი - 99 პირი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანი - 3136 პირი;
- თავდაცვის ძალების ვეტერანი - 183 პირი.

სოციალური პაკეტით სარგებლობს:

- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი - 4 პირი;
- სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი - 843 პირი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანი - 22 442 პირი;
- თავდაცვის ძალების ვეტერანი - 843 პირი.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ წინადადებით, განიხილოთ „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 და ,,სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ'' 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა იმგვარად, რომ ,,ომისა და თავდაცვის ძალების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ პირებს, საპენსიო ასაკისგან დამოუკიდებლად მიეცეთ შესაძლებლობა ერთდროულად ისარგებლონ ზემოაღნიშნული დადგენილებებით გათვალისწინებული სოციალური

[4] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2023 წლის 1 დეკემბრის NSSA92301287382 წერილი.

პაკეტით და საყოფაცხოვრებო სუბსიდიით. ასევე, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ არ შეეზღუდოთ სოციალური პაკეტით სარგებლობის უფლება.

პატივისცემით,
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.